ა ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების!

35

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 90
(6651)

9
1980 წ.
მაისი,
პარასკევი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

მშობლიურო ჩემო
მიწავ,
შენს საყვარელ
სახელს ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ
მარად,
გიცავდი და კვლავ
დაგიცავ.

გალაკტიონი.

□



ა. გოქსაძის პლაკატი.

რაიხსტაგზე დასმული წერტილი

იმ ქარცეცხლიან დღეთა სპორტული ქრონიკა

საბჭოეთის ხალხებთან ერთად ქართველმა ხალხმა თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე ძლევამოსილ გამარჯვებაში. ფრონტს მიაშურა რესპუბლიკის მოსახლეობის ერთმა მეხუთედმა, რომელთა თითქმის ნახევარმა თავისი სიცოცხლე სამშობლოს შესწირა.

ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დიდი ნაწილი უშუალოდ შეება ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრების დამრღვევთ: მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მამაცი მთამსვლელები, რომლებიც მხარში ამოუდგნენ წითელ არმიას და მტკიცედ ჩაკეტეს კავკასიონის მისადგომები. სვანმა მთამსვლელებმა შექმნეს პარტიზანული რაზმი, რომელიც წარმატებით ასრულებდა ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის დავალებებს. რაზმის მებრძოლებმა — გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებმა, გოჯი ზურებიანმა, მურზაყან ჯაფარიძემ და სხვებმა მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს. დარიალის ხეობაში ვაჟკაცურად იბრძოდნენ ადგილობრივი მთამსვლელები იაგორ კაზალიკაშვილის მეთაურობით. რაზმში შედიოდნენ იაგორის შვილები — სტეფანე, ალექსი და ისიდორე, გ. ქირიკაშვილი, ო. კაზალიკაშვილი და სხვები.

ქართველმა მთამსვლელებმა დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენს სარდლობას კავკასიონის კარტოგრაფიული მონაცემების შედგენაში. მათ შორის იყვნენ ს. გელაშვილი, ა. ჯაფარიძე, დ. წერეთელი, ლ. მარუაშვილი, კ. ონიანი, შ. შხვაცაბაია, ო. გიგინეიშვილი, ლ. სუჯაშვილი და სხვები. მთავრობის ჯილდო დაიმსახურა ცნობილმა ქართველმა მთამსვლელმა ქალმა ალექსანდრა ჯაფარიძემ კავკასიონის დაცვის დროს ჰიდრომეტეოროლოგიური სამუშაოების წარმოებისთვის.

1944 წელს ქ. ნიკოლაევის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ჩოგბურთელი ვახტანგ ლეჟავა, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. 20 წლის ჭაბუკის ვ. ლეჟავას სახელის უკვდავსაყოფად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კორტებზე ყოველი წლის 9 მაისს იხსნება მისი სახელობის საკავშირო მემორიალი ჩოგბურთში.

ბევრი ქართველი სპორტსმენის შესახებ ახლაც მოდის წერილები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ამას წინათ, ფიზკულტურის ინსტიტუტის პარტბიუროში მოვიდა ლეიტენანტ ვარივოდას წერილი, რომელშიც აღწერილია ინსტიტუტის კურსდამთავრებულის ალექსანდრე მილორავას გმირული სიკვდილი: „მას ყველა გმირად თვლიდა და უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ წარდგენილი იქნა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალ წოდებაზე... იმ დღეს თავისი ტანკით იგი შეიჭრა მტრის განლაგებაში, მიაყენა მტერს დიდი ზიანი, მაგრამ თითონაც სამი მძიმე ჭრილობა მიიღო... ჩვენ დიდად დაგვწყვიტა გული ამ შესანიშნავი მეთაურის სიკვდილმა. მისი სახელი მარად იცოცხლებს ჩვენ გულებში". — იწერება ქართველი გმირის მეგობარი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულით წავიდა ფრონტზე მოჭიდავე შალვა ნოზაძე, მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდა, მოხვდა პოლანდიის კუნძულ ტექსელზე, იყო ქართული ბატალიონის აჯანყების აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი მეთაური.

პარტიზანულ რაზმებში იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის გმირი, მოჭიდავე დ. ბაქრაძე, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში დ. იოსელიანი და სხვები. სხვადასხვა დროს სპორტულ სკოლებში იმაღლებდნენ ოსტატობის დონეს ი. ციციშვილი, თ. ჯაფარიძე, ა. წიქორიძე, ვ. ხარაზია, გ. მერკვილაძე, რომლებიც საბჭოთა კავშირის გმირის მედლით მკერდდამშვენებულნი დაბრუნდნენ ფრონტიდან.

უნდა აღინიშნოს საქართველოში მომუშავე სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტთა მეტად ნაყოფიერი საქმიანობის შესახებაც. როგორც ცნობილია, ომის პერიოდში საქართველო ლაზარეთებით დაიფარა. დაჭრილთა განსაკურნავად ფართოდ იყო გამოყენებული სამკურნალო ფიზკულტურა. ამ დარგში მომუშავე სპეციალისტთა მომზადების მეთოდური ცენტრის როლს მაშინ ფიზკულტურის ინსტიტუტი ასრულებდა. ბევრი გააკეთეს პროფესორებმა გ. მღებრიშვილმა, ვ. კუჭულიამ, დოცენტმა ვ. ჯაველიძემ და სხვებმა. ინსტიტუტის სტუდენტები ყოველდღიურად უტარებდნენ დაჭრილ მებრძოლებს დილის ტანვარჯიშს, ინდივიდუალურ ვარჯიშებს. ომის ბოლო წლისათვის სამკურნალო ფიზკულტურაში ჩაბმული იყო დაჭრილთა 75 პროცენტი.

როგორც ცნობილია, მძიმე პირობების მიუხედავად, სპორტული მუშაობა მაინც იკავებდა დიდ ადგილს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. თუ 1941 და 1942 წლებში ჩვენში არ ჩატარებულა სსრ კავშირის არც ერთი პირველობა, უკვე 1943 წელს ჩატარდა პირველობა სპორტის 8 სახეობაში, 1944 წელს — 14-ში და 1945 წელს — 22-ში. ცხადია, ამ პერიოდში ასეთი ღონისძიებების ჩატარება სპორტულთან ერთად გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებსაც ემსახურებოდა. ომის ბოლო წლისთვის საქართველოში არსებობდა ბავშვთა 50 სპორტსკოლა, რომელთაგან 19 შეიქმნა 1944 წელს. იმავე წელს მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში 25000 ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა.

საქართველოს სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის პირველობებზე. ასე მაგალითად, 1944 წელს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თბილისის ოფიცერთა სახლის კალათბურთელთა გუნდმა, ქუთაისის „დინამო" კი IV ადგილზე გავიდა. 1945 წელს ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა საქართველოს მოკრივეთა გუნდმა. ცალკეულ წონითს კატეგორიებში საუკეთესონი იყვნენ შ. გორგასლიძე, ა. ნავასარდოვი, ლ. ღუდუშაური, გ. ვართანოვი. ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა — ა. ჯორჯაძემ (ძელძი, 1943 წ.), რ. ზაალიშვილმა (ძელძი, 1944 წ. და ორძელი, 1945 წ.), სიმაღლეზე ხტომაში I ადგილი დაიკავა გ. ათანელაშვილმა (185 სმ, 1945 წ.), სიგრძეზე ხტომაში — ე. გოკიელმა (546 სმ, 1944 წ.), ბადროს ტყორცნაში — ნ. დუმბაძემ (48,77 მ, 1943 წ., 49,88 მ, 1944 წ.), ძალოსნობაში — მ. კასიანიკმა (305 კგ. 1943 წ., 302,5 კგ. 1944 წ.), მ. ჟღენტმა (325 კგ. 1943 წ., 337,5 კგ. 1945 წ.).

სტალინგრადიდან მტერი ახალი განდევნილი იყო, როცა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი ეწვია ქალაქს და სრულიად დანგრეულ სტადიონზე ამხანაგური შეხვედრა გამართა ადგილობრივ „ტრაქტორთან", ხოლო 1944 წელს ამხანაგური შეხვედრები ჩაატარა ირანის ნაკრებთან და მოიგო სამი თამაში.

დიდ სამამულო ომში ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემამ დაამტკიცა, რომ იგი ახორციელებდა მომავალ მებრძოლთა არა მარტო ფიზიკურ აღზრდას, არამედ მათ მორალურ და ნებელობითს აღზრდასაც. სხვა მთავარ ფაქტორებთან ერთად ალბათ ამანაც ითამაშა გარკვეული როლი იმაში, რომ წითელი არმია დამორჩილებულ გერმანიას მოევლინა არა როგორც დამსჯელი, არამედ როგორც მხსნელი და მშვიდობიანი ცხოვრების დამბრუნებელი. შემთხვევითი არ იყო, რომ ფაშისტთა უკანასკნელი ბუნაგის — რაიხსტაგის თალზე რუს ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აიტანა თავისი დროის ცნობილმა ცხენოსანმა მელიტონ ქანთარიამ და თავისებურად წერტილი დაუსვა ბოროტების არსებობას ევროპის ცენტრში.

საბჭოთა სპორტსმენებმა, განსაკუთრებით კი ომის ვეტერანმა სპორტსმენებმა, კარგად იციან რას ნიშნავს ომი, რა მოაქვს მას კაცობრიობისათვის, მშვიდობიანი სპორტული ცხოვრებისათვის. 1916, 1940 და 1944 წლებში ხომ სწორედ მსოფლიო ომების გამო ჩაიშალა ოლიმპიური თამაშები. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, განსაკუთრებით კი მათ, ვინც ასე გააფთრებით უტევს მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებს და ცდილობს სპორტი და მთელი ოლიმპიური მოძრაობა დაუქვემდებაროს არა მშვიდობის, არამედ დაძაბულობის ზრდას ჩვენს პლანეტაზე.

ა. ციბაძე,
დოცენტი.

● ოლიმპიურ ტალღაზე

გამარჯვების დღეს მიეძღვნა

ორჯონიკიძე. 8 მაისი (საქდესის კორ.). ჩვენი სამშობლოს წითედროშა აღმართეს დღეს მწვერვალ „ოლიმპიადა-80"-ის თავზე — დილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფიზკულტურული ლექტივების 35-მა სპორტსმენმა შტურმით აიღო ცენტრალური კავონის ეს ძნელად მისადგომი პიკი. თავიანთი ასვლა მათ გამარჯვების წლისთავს მიუძღვნეს.

ასვლის მონაწილეებმა მწვერვალ „ოლიმპიადა-80"-ის თავზე დაამაგგამარჯვების 35 წლისთავის აღსანიშნავი მემორიალური დაფა და მის წერილი-მიმართვა ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებისამოწოდებით ღირსეულად დაიცვან საბჭოთა დროშის დიდება მოსის თამაშებზე.

ინგლისელ ოლიმპიელთა სია გაიხსნა

უმინ ლონდონში გამოცხადდა ლისის ოლიმპიური ნაკრების პირველ სპორტსმენთა სახელები, რომლებიც მოსკოვის თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას. ესნი მარათონელები — ი. ტომპსონი, დ. ბლეკი და ბ. ფორდი.

როგორც ადგილობრივი პრესა ნიშნავს, ინგლისელი სპორტის ყვარულები დიდ იმედს ამყარებენ ტომპსონზე, რომელიც ევროპის 1974 წლის ჩემპიონი და თანამეგობრობის ქვეყნების თამაშებში გამარჯვებულია მძლეოსნობის ამ სახეობაში. მისგან გულშემატკივრები მოსკოვური რომელიმე სინჯის მედალს მოელიან.

დასახელებული სამივე სპორტსმენი, რომლებიც ხსნიან ინგლისელ ოლიმპიელთა სიას, საქვეყნოდ ცნობილია. სხვებს ქვეყნად მიმდინარე სხვა შესარჩევი შეჯიბრებები დაასახელებს.

35

ამ დღეებს ძეგლი უნდა აუშ

ორი გმირი

სს-ის ობერშტურმბანფიურერი, ბელორუსიის ოკუპირებულ ქალაქ ბორისოვში გესტაპოს ერთ-ერთი სანამებლის შეფი, უკიდურესად აღშფოთებული იყო:

— ყველაფერი უნდა ამოვქაჩოთ მისგან! დღეს უნდა ამოიღოს ხმა, ან სამუდამოდ დადუმდეს!

სს-ელთა უხეშმა ხელებმა (მერამდენედ!) საკანში წაათრია გაძვალტყავებული, ღონემიხდილი ადამიანი. თავით ფეხებამდე გაყინული წყლით დასველებულმა, სიცივით გათოშილმა დიმიტრიმ ძლივს გაახილა თვალი.

— თქვი, ვინ გამოგაგზავნა, რა დავალებით, საიდან? — გამომძიებლის ამღვრეული თვალები ზოროტებით ანთებულიყო... კვლავ და კვლავ ურტყამდნენ სხეულზე, რომელზეც უკვე აღარ იყო დარჩენილი ცოცხალი ადგილი. აკიაფდა და ჩაქრა მის თვალებში სხივი, როცა გაისმა ახალი განკარგულება: — ჩამოკიდეთ ძელზე! საკანის კედლები გაცურდნენ, დატრიალდნენ...

გამომძიებელი გამოეჭიმა ობერშტურმბანფიურერს და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია:

— დუმს...

• • •

...მასწავლებელმა სპორტდარბაზის იატაკს ცარცით გაუსვა ხაზი. — აქედან გადახტებით, — თქვა მან და მწკრივში ჩამდგარ მოწაფეებს გადახედა.

როცა სუსტი აღნაგობის მიტოს ჯერი დადგა, კლასში ვილაცამ ჩაიფხუკუნა. ადგილიდან ხტომის ხაზთან მდგარი მოკრუნჩხული ბიჭუნას ფიგურა ძალზე მოუხერხებელი ჩანდა, მაგრამ უნდა გენახათ, როგორი ოვაციები გაუმართეს გოგონებმა, როცა მიტო ყველაზე შორს გადახტა.

მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ დიმიტრი იოსელიანი რამდენიმე წლის შემდეგ მსოფლიოს რეკორდსმენი გახდებოდა ადგილიდან ხტომაში. მან 80-ჯერ გააუმჯობესა რესპუბლიკის, ამიერკავკასიისა და ქვეყნის რეკორდი! სპორტდარბაზში, ცარცით გავლებულ ხაზთან მდგომნი აბა რას წარმოიდგენდნენ, რომ ისინი უყურებდნენ პირველი საბჭოთა მსოფლიო რეკორდსმენის პირველ სტარტს, რეკორდსმენისა, რომელიც ამაყად გამოივლიდა ომის ქარცეცხლს, გესტაპოს სანამებელს, ააფეთქებდა ეშელონებს, რომ ნაომარი კვლავ დაუბრუნდებოდა საყვარელ სპორტს, გახდებოდა პედაგოგი, ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორი, ბევრი სპორტული იარაღის გამომგონებელი.

• • •

...ამ მაღალ, ტანად ჭაბუკში, ძნელად თუ გამოიცნობდით ოდესღაც სუსტ მოსწავლეს. ტანვარჯიშმა, სირბილმა, ხტომებმა, მტკვარში ცურვამ, კლდეებზე ცოცვამ, ტურისტულმა ლაშქრობებმა გააკაჟა მიტოს ჯანმრთელობა, გაუმაგრა კუნთები.

...1930 წელი. დაემხო ამიერკავკასიის რეკორდი ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში — 302 სმ. საკავშირო რეკორდამდე 2 სმ-ღა დარჩა! 1932 წელი. დაემხო ამიერკავკასიის რეკორდები ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში. 1933 წელი. არის პირველი საკავშირო! ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში 312 სმ აჩვენა დ. იოსელიანმა და 7 სმ-ით გააუმჯობესა ადრინდელი მიღწევა. 1936 წელი, მოსკოვი. საბჭოთა საქართველოს მე-15 წლისთავის ზეიმის დღეებში რესპუბლიკის ცნობილ ადამიანებთან ერთად იგი მოსკოვში მიემგზავრება და იქიდან „საპატიო ნიშნის“ ორდენით მკერდდამშვენებული ბრუნდება. კვლავ რეკორდების წყება. შემოდგომაზე, წვიმისაგან დასველებულ თბილისის სტადიონზე დიმიტრი 342,6 სმ-ზე გადახტა და გააუმჯობესა ამერიკელი ევანსის რეკორდი!

• • •

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე დ. იოსელიანი მოხალისედ შედის წითელ არმიაში. მალე ბელორუსიის საზღვრებისკენ ფრონტზე მიემართება. ბორისოვთან სასტიკ ბრძოლაში იგი, მძიმედ დაჭრილი, თავისიანებს ჩამორჩა და გონს მოსული მტრის ზურგში აღმოჩნდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა საიმედოდ დამალეს და ჭრილობები მოუშუშეს.

დიტო დაუკავშირდა პარტიზანულ იატაკქვეშეთს. დაიწყო აქტიური ბრძოლა ოკუპანტების წინაალმდეგ. შემდეგ დაბეზღება, დაჭერა, წამება გესტაპოში... გადაურჩა, გაუძლო! გაიმარჯვა მებრძოლისა და სპორტსმენის ნებისყოფამ, გამარჯვების რწმენამ და გადარჩენის იმედმა. სასწაულით გადარჩა: გონების მორიგი დაკარგვისას ფაშისტებს მკვდარი ეგონათ...

მალე დ. იოსელიანის მიერ ჩამოყალიბებული პარტიზანული ჯგუფი 1942 წლის აპრილში კლიჩევსკის ტყეში გავიდა და შეუერთდა 208-ე პარტიზანულ რაზმს. 110 მოკლული ჰიტლერელი, 17 ვაგონისგან შემდგარი ეშელონი, 7 ტანკით, 10 ავტომანქანით, 350 ჯარისკაცით და ოფიცრით — ასეთია გმირის საბრძოლო სტატისტიკა, მისი პირადი პარტიზანული ანგარიში.

ლენინის ორდენი, „სამამულო ომის პარტიზანის I ხარისხის“ მედალი, მრავალი სხვა ჯილდო — ეს არის გამარჯვების გზის ღირსეული ფინიში.

• • •

...1942 წლის იმავე მრისხანე დღეებში, გადამწვარ მიწაზე დააბიჯებდა სერჟანტი ნიკიფორე უსოვი, რომელმაც მაშინ არ იცოდა, რომ არმიაში სამსახური მოუწევდა მთელი 15 წლის მანძილზე. 20 წლის ახალგაზრდასთან გაჰყვა მშობლიურ ბრენცინში აღებული მოსავლის სუნი, რომელიც მას აგონებდა მშობლიურ სკოლას, სადაც იგი გახდა უბადლო მსროლელი, მორბენალი, ყუმბარის მტყორცნელი, მშთ ნიშნოსანი.

მძიმეა ქვეითი ჯარისკაცის ფრონტული ხვედრი, მაგრამ უფრო მძიმეა მეკავშირისა. სუმის 167-ე დივიზიის შემადგენლობაში 1943 წელს გადალახა დნეპრი (აი, სად გამოადგა ცურვა!), ვიშგოროდის გავლით თავის კოლეგებთან — მეკავშირეებთან ერთად კიევისკენ გაემართა. 5-6 ნოემბერს უტევდა გერმანელთა პოზიციებს ქარხანა „ბოლშევიკთან“, იერიშით აიღო კინოფაბრიკა, ხოლო ოქტომბრის ზეიმზე დააბიჯებდა უკრაინის დედაქალაქში მხარზე გადებული მავთულის მძიმე ხვეულათი, იბრძოდა ხარკოვთან. ახსოვს ბელგოროდის ცხარე დღეები და კურსკის რკალის სატანკო ბრძოლები. იყო საარტილერიო დივიზიონის კავშირის უფროსი, მიენიჭა ლეიტენანტის წოდება, დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავისა და სამამულო ომის I ხარისხის ორდენებით. ერთი სიტყვით, მსახურობდა და იბრძოდა კეთილსინდისიერად, რაც სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი აღინიშნა. 22 წლის ოფიცერს თავდადებული მამაცობისა და სამხედრო მოხერხებულობისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ომის შემდგომ პერიოდს თადარიგის მაიორი ნიკიფორე უსოვი ახალგაზრდობის აღზრდას, სამხედრო-პატრიოტულ საქმეს ახმარს.

— გმირის წოდება მავალდებულებს, კომუნისტისა კი — ორმაგად — ამბობს ვეტერანი. აი, რატომაა, რომ ამჟამად დოსააფის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატი ნ. უსოვი წუთითაც არ ისვენებს. მისი ორგანიზაცია ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალურ კომიტეტში. ქვეყანაში საუკეთესოთა რიგებშია სოხუმის სპორტულ-ტექნიკური კლუბი „სამხრეთი“.

მოტოსპორტი, რადიოპელენგაცია, ნავსამოდელო სპორტი, სროლა, სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდი, წყალქვეშა ორიენტირება, ავტოსპორტი და სხვა სამხედრო-ტექნიკური სახეობები — აი, მისი ყოველდღიური საზრუნავი. ხშირად ხვდება იგი პიონერებსა და მოსწავლეებს, აფხაზეთის მშრომელებს, ესაუბრება მათ საბრძოლო ამბებზე, ფრონტელ მეგობრებზე...

• • •

...ცხოვრობს საქართველოს მიწაზე ორი ადამიანი. ომის ვეტერანები, მისი გმირები, სამშობლოს სახელოვანი დამცველები. ისინი დღესაც წინა ხაზზე დგანან. ერთი მუშაობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, ზრდის მძლეოსნობის მომავალ მწვრთნელებსა და მასწავლებლებს და სათავეში უდგას საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსანთა სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას. მეორე — ხელმძღვანელობს საოლქო სამხედრო-პატრიოტულ ორგანიზაციას, რითაც ხელს უწყობს სამშობლოს დამცველთა და სახალხო მეურნეობისთვის მასობრივი პროფესიის (მძღოლების, რადისტების, ტელეგრაფისტების) სპეციალისტთა მომზადებას...

• • •

სპორტის დამსახურებული ოსტატი, მებრძოლი და პარტიზანი დიმიტრი იოსელიანი და საბჭოთა კავშირის გმირი ნიკიფორე უსოვი დღესაც საბრძოლო მწყობრში დგანან.

შესაძლოა ისინი არც იცნობენ ერთმანეთს პირადად და მათი პირველი შეხვედრა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე შედგება, მაგრამ მთავარია ის, რომ ორივე კომუნისტი აგრძელებს მამაცობის გაკვეთილებს ქართველი ახალგაზრდობისთვის, რომელთაც პატრიოტიზმის უამრავი ნათელი მაგალითი აქვთ.

ბ. კოვალიოვი.

• • •

სურათებზე: დ. იოსელიანი (მარცხნივ) და ნ. უსოვი.



ვალმოხდილნ

ამ ფოტოსურათზე, რომელიც 1940 წელსაა გადაღებული, იოსებ და ოლღა ჩიტაიების ოჯახია აღბეჭდილი. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ერთი წლის შემდეგ ექვსი სიცოცხლით სავსე ჭაბუკი ჯარისკაცის ფარაჯას ჩაიცმევდა და ფაშისტ დამპყრობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაებმებოდა.

დიახ, ექვსი ვაჟკაცი გაზარდეს იოსებმა და ოლღამ და ექვსივემ ღირსეულად მოიხადა მხედრული ვალი. დღეს, დიადი გამარჯვების 35-ე წლისთავზე კიდევ ერთხელ გვინდა გავიხსენოთ ის ქარცეცხლიანი დღეები, გესაუბროთ ძმები ჩიტაიების თავდადებასა და ერთგულებაზე. ჩვენი არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. საქმე ისაა, რომ ექვსივე ძმა სპორტით, ფეხბურთით იყო გატაცებული და ფიზიკური წრთობა აგრერიგად გამოადგათ ომის მძიმე დღეებში.

პირველად პავლე ჩიტაია გაიწვიეს ჯარში. მან 7 წელი დაჰყო წითელი არმიის რიგებში. გვარდიულმა ნაწილმა, სადაც პავლე ირიცხებოდა, ბრძოლით გაიარა ბელორუსია, პოლონეთი და გამარჯვება ბერლინში იზეიმა.

ომი რომ დაიწყო, პაატა ჩიტაია ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში სწავლობდა, ამირანი კი უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი იყო. ორივენი თავიანთი სასწავლებლის ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდნენ. სპორტთან კავშ რანს არც ომის შემდეგ ტია. იგი რესპუბლიკურ გორიის მსაჯია ფეხბურთ ული წლების მანძილზე ბოდა რესპუბლიკურსა შირო შეჯიბრებებს. ამ რანი თბილისის ერთ-ერთ პრო დაწესებულების ნელია, პაატა კი სოფლ ნეობის მეცნიერებათა ტია და აქტიურ სამეცნ პედაგოგიურ მოღვაწეობ

სამწუხაროდ, ერთ-ერთ დრო. ოპერაციის დროს ალექსანდრე ჩიტაია. ტყუპისცალთან, იროდი თად იბრძოდა. ეს უკანა რგი ფეხბურთელი იყო, და თბილისის „სპარტაკ

— ფეხბურთში უკვე ბორისი გვჯობნიდა, — ძმაზე იგონებს ამირან იგი სხვადასხვა დროს თბილისის, კიევისა და „დინამოში“. ომის შემდე თველოს საავტომობილო ტროს ფეხბურთელთა გ უდგა სათავეში. ბორის როსტოვში, ოდესაში, კ გრამ ჟიტომირში მძიმე და იძულებული გახდა ბინა ფრონტი.

35 წელი... მოგონება ომის გარდასული დღეებ ვონარი კი მართლაც რო აქვს ჩიტაიების ოჯახს.

ე. ბა

იარაღით-ცხოვრებ
გრძელ გზა

...ტყვიის სროლის ხმა მძიმედ აწყდება კედლებს და ყრუ ბუბუნით იქვე ინთქმება. გოგონათა ოთხეულს ყმაწვილები ენაცვლებიან. ისინი დაახლოებით ერთი ასაკისანი არიან, დაახლოებით ერთნაირად ოცნებობენ და ერთნაირად სურთ სრულყოფილად დაეუფლონ სროლის სპეციფიკას. მთავარია პროფესიონალის ალღო, თვალის უნაკლო სიზუსტე.

მოგრძო, დერეფნისმაგვარი სასროლეთი „ძმ პარმენის“ სამფლობელო გახლავთ. რაღაცნაირად მყუდრო და ხმაურით სავსეც. ჩვენი სიტყვაძუნწი მასპინძელი ღიმილით გვემშვიდობება კართან. იმ კაცის დაუღლელი ღიმილით, რომელიც თითქმის ოცდაათ წელზე მეტია სიყვარულით ემსახურება თავის საქმეს...

სპორტის ვეტერანის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის პ. ლეკიშვილის ბიოგრაფია ბევრ საინტერესო ფრაგმენტს მოიცავს. ოცი წლის განმავლობაში სათავეში ედგა თბილისის დოსააფის მსროლელთა სპორტკლუბს. იყო რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფრო თნელი. მრავალი მძ რდილი სპორტის ოსტა ჭოთა კავშირის ჩემპ პრიზიორი, მსოფლიოს რ სმენი გახდა. პ. ლე ღირსეული მოწაფეებ ტოკიოსა და მეხიკოს ო დების პრიზიორი, მსოფ კორდსმენი შ. ქველიაშ ლსინკის ოლიმპიადის გ. ბექთაშევი, საბჭოთა რის რეკორდსმენი ვ. სა თ. ხერხეულიძე, ა. ნა ლი და მრავალი სხვა მსროლელი.

პ. ლეკიშვილს ძალ უყვარს თავისი საქმე ამ დიდმა სიყვარულმა დრა მათ ოჯახშიც კე დიციად სპორტის ეს მისი ვაჟებიც მამის გ სეული გამგრძელებლებ თამაზ ლეკიშვილი — ოსტატი, რესპუბლიკის სი სპორტული ოსტატობ ლის დირექტორი გახლ ნგიზიც — სპორტის თბილისის სახელმწიფო ხიტეტის ფიზაღზრდის რის მასწავლებელი და მსროლელთა მწვრთნელ

უნდა აღვმართოთ წყებათა წყება!

სანიტარი

ჩვენი ქალები ოდითგანვე ოლს არ უდებდნენ სახელოვან ჟაცებს არც შრომაში და არც უ გნებავთ პატრიოტულ გრძნობებში. აკი ამიტომ იყო, რომ განცდელში მყოფი სამშობლოს დაცავად მათი უმრავლესობა მხაში ამოუდგა მამებს, ძმებსა თუ რებს და არა მარტო ზურგში, რამედ მოწინავე ხაზზეც და დიი წვლილი შეიტანა საბჭოთა ხახის გამარჯვებაში.

სწორედ ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ზინაიდა გოჩიაშვილიც. მოენილმა, ტანმაღალმა, სათნო ოგონამ ომის უკვე პირველსავე ღეებში გაცვალა თავისი ხელით ცერილი კოფთა კაბა ჯარისკაის მძიმე ფარაჯაზე, ხოლო ლაზი მაღალქუსლიანი ფეხსაცმეი — უხეშ ჩექმებზე.

ომის ვეტერანი, მრავალი მედლით დაჯილდოებული სახელოვა მამულიშვილი ცრემლნარევი სენებს იმ მძიმე დღეებს.

სამედიცინო სასწავლებლის დათავრების შემდეგ ზინა გოჩიაშლმა მუშაობა ხაშურის საბავშვო ლის გამგედ დაიწყო. სწორედ მოუსწრო სამამულო ომმა. ნა დაუყოვნებლივ გაემგზავრა რონტზე, სადაც უფროსი სამედრო ფერშალი გახდა VI არმი- 47 დივიზიის 334 ფეხოსანი ლეიონის სანიტარულ ნაწილში. ზისთან ერთად ამავე ნაწილში გაწესეს ხაშურელი ნატალია ხაჩი- გოგონები მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს და სამუდამო გობრები გახდნენ.

საბრძოლო ნათლობა ზ. გოჩილმა 1941 წლის აგვისტოს დაწყისში მიიღო ხარკოვისათვის რძოლებში. იქვე, წინა ხაზთან ოილე მტრის დაშორებით ექიმმა ა. ფავლენიშვილმა და ა. გალუსტოვმა, ექთნებმა ნ. რგაძემ, ნ. ხაჩიძემ, ნ. ყიფიაა და ზ. გოჩიაშვილმა მოაწყვეს ირურგიული პუნქტი. გოგონებს რძოლის ველიდან გამოჰყავდათ აჭრილი საბჭოთა არმიელები, მოჰყავდათ საკაცითა თუ საკუარი ზურგით. საჩქაროდ გადაუბელ ოპერაციებს უკეთებდნენ; ბუქად დაჭრილებს იქვე ტობდნენ, ჭრილობებს უშუშებდნ. მძიმე მდგომარეობაში ოფთ კი ევაკოჰოსპიტლებში ზავნიდნენ. ახალგაზრდა მედიების და ზ. გოჩიაშვილი ქარსა ა წვიმაში, თოვლსა თუ ყინვა ენერგიის დაუზოგავად ასრუებდა თავის მოვალეობას.

ფრონტიდან დისადმი მიწერილ წერილში 1942 წელს ზინა სთხოვს თავისიანებს, რომ მისი დაბადების დღედ ამიერიდან იმ წლის 22 მაისი მიიჩნიონ, ვინაიდან სწორედ ამ დღეს იგი მართლაც რომ მეორედ დაიბადა: სამხრეთ უკრაინაში, ხარკოვთან მათი ბატალიონი ალყაში მოხვდა. მტერი ზარბაზნებითა და თვითმფრინავებიდან უშენდა ჩვენებს. ფეხოსნები და ცხენოსნები — ყველაფერი ერთმანეთში აირია. მინდორი გვამებით და დაჭრილებით დაიფარა. შემზარავად ჭიხვინებდნენ უმხედროდ დარჩენილი ცხენები. ზინას ბინტი გამოელია და დაჭრილებს ახლა საკუთარი ხალათის ნახევებით უხვევდა იარებს. სწორედ ამ დროს შაშხანის ტყვიამ ყურთან გაუზუზუნა და ჰაერის ტალღამ მყისვე ძირს დასცა სანიტარი. გონზე მოსულმა გაიფიქრა, რომ ეს მისი აღსასრული იყო. ძალღონე მოიკრიბა, მოისინჯა კისერი, წამოდგა და... კვლავ თავის საქმეს შეუდგა.

დიდი მსხვერპლის მიუხედავად, ჩვენმა მებრძოლებმა გაარღვიეს ალყა და სამშვიდობოზე გავიდნენ. ბედად გადარჩენილნი ერთმანეთს ულოცავდნენ მეორედ დაბადებას. მერე გაკვირვებით დაუწყეს თვალიერება ზინა ექთანის ხალათს, რომლისთვისაც ტყვიას საყელოსთან სამხრე გაეხვრიტა და ყელი გაეკაწრა. სიკვდილმა სულ ერთ ბეწვზე ჩაუარა გოგონას.

გადარჩენილებმა ქალაქ იზუმის მახლობლად მდებარე ტყეში მოიყარეს თავი. გოჩიაშვილი არმიის სანიტარული ნაწილის უფროსმა გამოიძახა და მადლობა გამოუცხადა.

...კვლავ წინა ხაზი, ამჯერად მე-18 არმიის 131 მსროლელთა დივიზიის 339-ე ლეგიონის სანიტარული ნაწილი. და ისევ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ცეცხლიდან დაჭრილთა გამოყვანა, იარების შეხვევა...

საქართველოს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდებში დაცულ ზინაიდა ესტატეს ასულ გოჩიაშვილის მოგონებაში ვკითხულობთ: „მაგონდება ბევრი მამაცი მებრძოლის სახე, რომლებიც ფეთქებადი ნივთიერებით ვაჟკაცურად უვარდებოდნენ ქვეშ მტრის ტანკებს. ასეთები მხოლოდ რევოლუციით მოპოვებული თავისუფალი სამშობლოსა და მაღალი ადამიანური გრძნობებისათვის ეცემოდნენ გმირული სიკვდილით ყველას მტკიცედ სჯეროდა, რომ ომი საბჭოთა ხალხის გამარჯვებით დამთავრდებოდა". გოჩიაშვილი ასე ასრულებს თავის მოგონებებს: „თუ ვერაგი ტყვია მეც არ ამცდებოდა; მაინც ბედნიერად ჩავთვლიდი თავს — სამშობლოსათვის სიკვდილი ხომ უკვდავებას ნიშნავს!"

ამიტომ იყო, რომ ზ. გოჩიაშვილი სატვირთო მანქანით დაჭრილების ზურგში გადაყვანის დროს ფაშისტთა ჯვარედინი ცეცხლისაგან გმირულად იცავდა ჩვენს მეომრებს — მამაცი კომკავშირელი გოგონა ზედ გადაეფარა დაჭრილებს.

დღეს, დიდი სამამულო ომის ვეტერანი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ჩინებული მკურნალი და კარგი სპორტსმენი — მძლეოსანი, მოსკოვში 1945 წლის გამარჯვების დიდი ზეიმის მონაწილე ზინა გოჩიაშვილი ისევ მწყობრშია. იგი თბილისის მე-8 პოლიკლინიკაში მუშაობს სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტის მეთოდისტად და კვლავინდებურად დგას საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე.

ნელი ნოზაძე,
საქართველოს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის თანამშრომელი.



თანამებრძოლებს უძღვნა

ცნობილი თბილისელი საჭადრაკო კომპოზიტორი **რევაზ თავარიანი** დიდი სამამულო ომის მონაწილეა დღიდან დაწყებისა. ვიდრე მეორედ დაიჭრებოდა, იბრძოდა I ბელორუსიის ფრონტზე 65-ე არმიის 193-ე მსროლელთა გვარდიული დივიზიის შემადგენლობაში.

გამარჯვების დღის აღსანიშნავად რ. თავარიანმა თავისი ახალი ეტიუდი ფრონტელ თანამებრძოლებს უძღვნა.



თეთრები იგებენ.

ამ ეტიუდში გონებამახვილური კომბინაციური თამაშით თეთრები ახერხებენ პაიკის ლაზიერში გაყვანას. ერთ-ერთ, თითქოს ბუნებრივ გაგრძელებაში, რაც მცდარი კვალია, შავებს ყაიმის (პატის) შენიღბული შესაძლებლობა აქვთ.

* * *

ომისდროინდელ არქივში რ. თავარიანს შემორჩა ეს სურათი, რომელიც გადაღებულია 1944 წლის იანვარში გომელის (ბელორუსია) საველე ჰოსპიტალში, სადაც მოათავსეს იგი ქალაქ რეჩიცასთან ბრძოლებში დაჭრის შემდეგ.

— ჰოსპიტალში მთავარ თავშესაქცევად ჭადრაკი გვქონდა, — იხსენებს ომის ვეტერანი. — ბევრს ვთამაშობდით, მე ამოცანებსაც ვთხზავდი. ერთხელაც, მეგობარმა (შუაში რომ არის, სამწუხაროდ, მისი გვარი აღარ მახსოვს) შემოგვთავაზა სამახსოვროდ სურათი გადაგვეღო, რადგან თვითონ ჭრილობამოშუშებული ჰოსპიტლიდან ეწერებოდა. მარცხნივ მე ვზივარ, ჩემს პირდაპირ — იური ნიკოლაიჩუკი. მას შემდეგ 32 წელმა განვლო. და აი, ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ"-ის 1976 წლის 1-ლ ნომერში, მოთავსებულ სურათზე ნორჩი მოჭადრაკეებით გარშემორტყმულ მწვრთნელში ვიცანი იური ნიკოლაიჩუკი. რა თქმა უნდა, გამეხარდა და მაშინვე შევეხმიანე და მეგობრობაც განვაახლეთ. იურის ომის შემდეგ ჭადრაკის პედაგოგად დაეწყო მუშაობა კუიბიშევის პიონერთა სასახლეში და რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც მიეღო. სამწუხაროდ, აღდგენილი მეგობრობა ხანმოკლე აღმოჩნდა: შარშანწინ ნიკოლაიჩუკი გარდაიცვალა.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ომის ვეტერანი რევაზ თავარიანი დღეს აქტიურადაა ჩაბმული ჩვენი რესპუბლიკის საჭადრაკო ცხოვრებაში, როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში და კვლავ განაგრძობს ახალი ამოცანებისა და ეტიუდების თხზვასა და კონკურსებში მონაწილეობას.

თ. გიორგაძე.

ლიშვილს მრავალი სიგე დიპლომი აქვს მიღებუ- დიდი გარჯის ჯილდოდ, ის აღზრდას რომ სჭი- თუმცა მის „საშინაო" ში ბევრ საბრძოლო მედამხედებით. იგი ხომ ომის ნაა. დიდი სამამულო წყებისთანავე გაიწვიეს ვილი ფრონტზე. იბრძო- მსროლელთა ბრიგადა- ჯერ კიდევ სავალდებუმხედრო სამსახურში შეი- მეიარაღის პროფესია, ვ მთელი მისი ცხოვრეამგზავრი გახდა. ცხოვალენდარი კი შვიდ ათე- ითვლის — ამ დღეებში ვილს 70 წელი უსრულ- ლენინის სახელობის სა- პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ყველა კარგად იცნობს „ძია პარმენს". მოგრძო, დერეფნისმაგვარი სასროლეთი მისი და ტყვიის სროლით გატაცებული ახალგაზრდების სამფლობელოა.

— ყოველდღე, დილის ცხრა საათიდან... რაღაცნაირი დაუღლელი, ხალისიანი ღიმილი აქვს ამ კაცს. სამოცდაათი ცოტა არ არის. საზრუნავი კი ძალზე ბევრი აქვს გულისხმიერ მასწავლებელსა და მწვრთნელს: ახალბედა მოყვარულები, გოგონები, უკვე ჩამოყალიბებული ოსტატები.

...ტყვიის სროლის ხმა მძიმედ აწყდება კედლებს და ყრუ ბუბუნით იქვე ინთქმება.

მ. ბედიაშვილი.

* * *

სურათზე: პ. ლეკიშვილი (შუაში) აღსაზრდელებთან.

მონანიება

ეს მოხდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ პატარა ქალაქში. თოვლი აქა-იქ ჯერ ისევ იდო, მაგრამ მარტის მზე უკვე აცხუნებდა, ფეხბურთისთვის დიდებული ამინდი იდგა — არც ძალიან ციოდა და არც ძალიან ცხელოდა.

ჰოდა, ბიჭებმა ბიმბომ, როლფმა და ერვინმა პარკში ფეხბურთის თამაში გააჩაღეს.

როლფმა ზედ კართან, მოწინააღმდეგესთან ორთაბრძოლაში აკრძალული ილეთი იხმარა.

— პენალტია! — დაიძახა ბიმბომ, კარს აყლაყუდა ერვინი იცავდა. ბურთმა არამცთუ კარის ზედა ძელს, აშოლტილ ხეებსაც კი თავზე გადაუფრინა.

— დოყლაპია! — გაბრაზდა როლფი, — სად ჯანდაბაში გადაკარგე, მიდი ახლა და ეძებე!

ბიმბომ თითქმის ყველა ხისა და ბუჩქის ძირს შემოურბინა, მაგრამ ბურთს ვერსად მიაგნო. უცებ თვალი მოჰკრა მოხუც ქალს. იგი, ჯოხზე დაყრდნობილი, სვენებ-სვენებით მიდიოდა პარკის ბილიკზე.

— ჩვენი ბურთი არ გინახავთ? — გამოელაპარაკა ბიჭი.

ქალი გაოცებით მიაჩერდა.

— ჩვენი ბურთი — გაუმეორა ბიმბომ.

— აა, გმადლობთ, გმადლობთ, — უთხრა ქალმა, როდესაც ერვინმა და როლფმაც მოირბინეს.

ბიმბო შეტრიალდა და გაიცინა. ქალმა ეს ვერ შენიშნა.

ერვინმა ხელები პირთან მიიტანა და დაუყვირა:

— ჩვენს ბურთზე გეკითხებით. არ გინახავთ?

— გმადლობთ, ჩემო კარგებო! — მიუგო ქალმა, — დღეს გზა არც ისე მოყინულია, შემიძლია მარტომ ვიარო.

ბიჭებმა ხმამაღალი ხარხარი ატეხეს. მოხუცი ქალი ნაღვლიანად შეჰყურებდა ყმაწვილებს, ლოყებზე სიწითლემ გადაჰკრა, ხელები აუკანკალდა და ჯოხი მიწაზე დაუვარდა. მერე, როგორც იქნა, დიდი გაჭირვებით აილო და გზას გაუდგა.

კიდევ დიდხანს ისმოდა ბიჭების ყურისწამღები სიცილის ხმა...

მეორე დღეს (ეს იყო 8 მარტი) კლასის ხელმძღვანელი ბავშვებს ბევრ კეთილ, გამრჯე და გონიერ ქალზე ესაუბრა, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ და დიდი წვლილი შეიტანეს ხალხთა თავისუფლების, მშვიდობისა და ბედნიერების დამკვიდრების საქმეში, მერე თავიანთი ქალაქის სინამდვილიდან კონკრეტული მაგალითი მოუყვანა.

გესტაპოს უნდოდა ერთი ქალისაგან გაეგო, სად იმალებოდა მისი მეუღლე თავის ანტიფაშისტ მეგობრებთან ერთად. მაგრამ ქალმა პირში წყალი ჩაიგუბა, სცემდნენ და აწამებდნენ, მაგრამ გმირი ქალის წინაშე უძლური აღმოჩნდნენ ბარბაროსები, ერთი სიტყვაც ვერ დააცდენინეს. ასე გადაარჩინა დიდებულმა ადამიანმა ბევრი პატრიოტი კომუნისტის სიცოცხლე.

ბიმბო ყურადღებით უსმენდა. თვალები უბრწყინავდა. მერე ხელი აწია — ის ქალი ცოცხალია? — ჰკითხა მასწავლებელს.

— კი, როგორ არა! — მიუგო მან, — ალბათ გინახავთ კიდეც, იმ მძიმე დღეების შემდეგ თმა სულ გაუთეთრდა, ხელჯოხით დადის, თუმცა არც ისე ხნიერია. იმ შავბნელ ჟამს სმენა დაკარგა და ახლა მთლად ყრუა.

ეს პასუხი ბიმბოსათვის სახეში სილის გარტყმა იყო. ცხადია, ეს ის მოხუცი ქალია, პარკში რომ შეხვდა.

ნაშუადღევს სამივე მეგობარმა ერთად მოიყარა თავი. ქალის ბინაში მივიდნენ და ზარი თარეკეს... როდესაც მასპინძელი გამოვიდა, გაკვირვებით შეხედა ულამაზესი ყვავილების კალათას. რომელიც კარის წინ იდგა.

„ნეტავ ვინ მოიტანა?" — ამ ფიქრებში იყო გართული, რომ უცებ ყვავილებში ჩადებულ პატარა ბარათს მოჰკრა თვალი.

„ჩვენმა მასწავლებელმა ყველაფერი გვიამბო, — წაიკითხა მან, — უმორჩილესად გთხოვთ პატიებას. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ასეთ სამარცხვინო საქციელს არასოდეს ჩავიდენთ.

გილოცავთ ქალთა დღეს!

გუშინდელი სამი ბიჭი".

გაზეთ „ნოიეს ლებენიდან"
თარგმნა შ. ამირანაშვილმა.



გმირი-ქალაქი მოსკოვი ზუსტად 70 დღის შემდეგ XXII ოლიმპიადის დედაქალაქიც გახდება.

19 ივლისიდან მოყოლებული, ორი კვირის განმავლობაში იგიზგიზებს ოლიმპიური ცეცხლი — მსოფლიოს სიჭაბუკის, სპორტსმენთა მეგობრობის, ხალხთა ურთიერთთანამშრომლობის სიმბოლო. ოლიმპიადის დღეებში სტუმართა განკარგულებაში იქნება საუკეთესო სპორტული ბაზები და სასტუმროები, თეატრები, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები...

სურათებზე: ახალი ოლიმპიური სასტუმრო იზმაილოვოში, რომელიც 10 ათასი კაცისთვის არის გათვალისწინებული; ასეთია სასტუმროს „ა“ კორპუსის რესტორანი; ოლიმპიური თამაშებისთვის გამოშვებული სასუვენირო მედლები.

საკდეხის ფოტოები.

მოსკოვის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დარჩა 70 დღე

МОСКВА
1980
ИГРЫ XXII ОЛИМПИАДЫ В МОСКВЕ

ფეხბურთი ●

მატჩი ფრედ დამთავრდა

როსტოკში (გდრ) 7 მაისს გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდისა და სსრ კავშირის კლუბების ნაკრები გუნდის ამხანაგური საერთაშორისო მატჩი.

შეხვედრის პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში მე-11 წუთზე გახსნეს სტუმრებმა (გაზაევი), ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა კიუნმა. შემდეგ ბურიაკმა 11-მეტრიანი დარტყმით წინ გაიყვანა საბჭოთა გუნდი და უკვე მატჩის დასასრულს ტერლეცკიმ კვლავ გაქვითა ანგარიში — 2:2.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს მატჩი: **გდრ** — რუდვალიაიტი, ბრაუერი (მიულერი), ბაუმი, ულიგი, შტროცნიაკი, შნუპპაზე, ტერლეცკი, შტაინბახი, ტროხა (ბერინგერი), ჰოინი, კიუნი; **სსრ კავშირი** — გაბელია, კოსტავა, ზვიაგინცევი, ბოროვსკი, კრუგლოვი, ბურიაკი, ლეშჩუკი, მაქსიმენკოვი (ტარხანოვი), როგოვსკი (იარცევი), სტარუხინი, გაზაევი. თამაშს სჯიდა პოლანდიელი გეურდსი.

I ლიგა

7 მაისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების 2 მატჩი. ქუთაისის „ტორპედო“ დუშანბეში შეხვდა „პამირს“ და დამარცხდა ანგარიშით 1:2. მატჩი ჯიზაკში ადგილობრივ „ბუსტონსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის მოიგეს მასპინძლებმა — 3:0.

წინა დღით კიშინიოვის „ნისტრუმ“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა ნალჩიკის „სპარტაკი“.

● მშვილდოსნობა

ვინ დაეუფლება თასს?

მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიურ სპორტულ კომპლექსზე საკავშირო თასისთვის მებრძოლმა მშვილდოსნებმა შეჯიბრების ნახევარი დაამთავრეს. მ-1 ვარჯიშში დაწინაურდა მოსკოველი ნ. ბუტუზოვა — 1280 ქულა. მასთან 5 ქულას აგებს ო. როგოვა (უზბეკეთი). საგრძნობლად გამოასწორა მდგომარეობა თბილისელმა საერთაშორისო კლასის ოსტატმა ქ. ლოსაბერიძემ, რომელიც პირველი ორი დისტანციის შემდეგ ჩამორჩებოდა. ახლა მას 1268 ქულა აქვს და 19 ქულით სჯობნის ხ. ბუდაჟაპოვას (რსფსრ), რომელიც IV ადგილზე მიდის.

ვაჟთა შორის სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონმა ბაქოელმა ვ. მაქსიმოვმა 30 მეტრიდან შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა — 355 ქულა მოაგროვა, მაგრამ ორდღიან ასპარეზობაში იგი ექვსეულის მიღმაა. ლიდერობს ბ. ისაჩენკო (ბელორუსია) — 1234. ვ. ეშეევი (რსფსრ) მასთან 9 ქულას აგებს.

ქვეყნის თასის მფლობელთა ვინაობა დღეს, 9 მაისს გაირკვევა.

● კალათბურთი

უშეღავათო ბრძოლა

შვეიცარიის ოთხ ქალაქში — ლუგანოში, ლიუცერნში, ნევშატელსა და ვევეში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა გუნდების წინაოლიმპიური ტურნირი. დარჩენილი 3 საგზურისთვის ევროპის 19 კოლექტივი იბრძვის.

პირველივე შეხვედრებმა ცხადყო, რომ ბრძოლები უშეღავათოა. ფავორიტებიდან მხოლოდ ესპანელებმა შეძლეს იოლი წარმატების მოპოვება: მათ ლიუცერნში უნგრელებს სძლიეს — 97:50. ჩეხოსლოვაკიელებმა დაამარცხეს მასპინძლები — 92:74. ფრანგებმა, რომლებიც პირველ ტაიმს აგებდნენ, წარმატებას მიაღწიეს ავსტრიელებთან შეხვედრაში — 83:70.

ტურის სენსაციად მიაჩნიათ ბერძნების წაგება შვედებთან (71:79) და ფინელებისა — ინგლისელებთან (81:84). ამ მატჩში მეორე ტაიმის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ფინელები იგებდნენ 13 ქულას. თურქეთის ნაკრებმა დაამარცხა ნორვეგიის გუნდი — 94:74. ქვეჯგუფებში ურთიერთობა 10 მაისს გაირკვევა.

● ველოსპორტი

სისწრაფის შემოწმება

მინსკის მიდამოებში მიმდინარე ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრების მესამე დღეს მონაწილენი ძალებს სისწრაფეში ამოწმებდნენ: 18 წრეზე მოეწყო კრიტერიუმი. იმარჯვა ტარტუელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. პიკუუსმა, რომელმაც 24 ქულა მოაგროვა. ქვეყნის ნაკრების მეორე წევრი, კუიბიშეველი ს. ნიკიტენკო II ადგილზე გავიდა — 15 ქულა. მესამე იყო 19 წლის ვორონეჟელი ო. ფილშინი — 9.

● სროლა

ოსტატობაც, გამარჯვებაც...

სოხუმის „დინამოს“ სასროლეთზე გაიმართა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება ტყვიის მსროლელ ქალთა შორის. ორმაგ წარმატებას მიაღწია მასპინძელმა, ოსტატობის კანდიდატმა ლ. ყასინამ, რომელიც „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა: მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში 18 წლის სპორტსმენმა 600-დან 584 ქულით გაიმარჯვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

პნევმატური შაშხანის დგომელა სროლაში თბილისის არმიელმა ოსტატმა ე. ქაჩელიშვილმა 384 ქულით III ადგილი დაიკავა. მას აჯობეს მხოლოდ ტალინელმა ე. კონონენკომ — 386 და ანგარსკელმა ე. ბერეჟნოვამ — 385. აღსანიშნავია, რომ ამ სახეობაში ცეცხლის ხაზზე იყო 32 მონაწილე — მათ შორის 2 დამსახურებული და 6 საერთაშორისო კლასის ოსტატი, მაგრამ მათგან პრიზიორთა სამეულში ვერცერთი ვერ მოხვდა.

სოხუმის დინამოელმა ოსტატმა მ. მურადიანმა მცირეკალიბრიანი შაშხანის სტანდარტზე (3X20) სროლაში 570 ქულა დააგროვა და VI ადგილზე გავიდა. იგი გამარჯვებულს, ვოროშილოვგრადელ ოსტატს ლ. სოკოლოვას (574 ქულა) 4 ქულით ჩამორჩა, თუმცა წოლულა და ჩოქელა სროლაში აჯობა კიდეც.

რ. კაცობაშვილი.

● ჭადრაკი

ტურნირები უნგრეთში

ბუდაპეშტში მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობს. 11 ტურის შემდეგ ლიდერობს კიეველი ლ. სემიონოვა — 8,5 ქულა. მას კვალში მიჰყვება პიატიგორსკელი ვ. კოზლოვსკაია — 7 ქულა და 1 გადადებული პარტია. XI ტურში სემიონოვამ დაამარცხა კრიჟანე (უნგრეთი), ხოლო კოზლოვსკაიამ გადადო პარტია კოვალსკაიასთან (პოლონეთი).

ზამარდში მიმდინარეობს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სტარტი 16 მოჭადრაკემ აიღო, მაგრამ ერთ-ერთი ტურიდან ბრძოლას გამოეთიშა დიდოსტატი ლ. ბარცაი (უნგრეთი).

6 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ვ. ულმანმა (გდრ) — 4 ქულა. მას ქულით ჩამორჩება ი. დორფმანი (სსრ კავშირი), რომელსაც აგრეთვე ერთი გადადებული პარტია აქვს.

● მძლეოსნობა

ემზადებიან...

მაღალი მაჩვენებლებით აღინიშნა ბერლინში გამართული გდრ-ის მძლეოსანთა ასპარეზობა. ევროპის 1978 წლის ჩემპიონმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ი. სლუპიანეკმა ბირთვი ჰკრა 22,34 მ-ზე, რაც მხოლოდ 2 სმ-ით ჩამოუვარდება მისსავე რეკორდს. პეტრა ქიგო-ვენდლანდტმა ბადრო ტყორცნა 65,72 მ-ზე, შუბის მტყორცნელ ვაჟთა შორის თავი გამოიჩინა ა. კატერლემ — 85,54.

ასპარეზობა მოსკოვის ოლიმპიადისთვის მზადების ნიშნით ტარდებოდა.

კლუბი შედგება...

ერთი ოჯახისაგან

შვეციაში სამოყვარულო ფეხბურთის კლუბებს შორის ყველაზე პოპულარულია „დარნაგორი“, რომელიც მხოლოდ ერთი ოჯახის წევრებისაგან შედგება. ეს მალმგრენების ოჯახი გახლავთ.

გუნდს წვრთნის 86 წლის უვე მალმგრენი. თამაშობს 19-დან 49 წლის ასაკის მისი 11 ვაჟი. აი, რა განუცხადა მწვრთნელმა პრესის წარმომადგენლებს:

— ეტყობა, დადგა გუნდის გაახალგაზრდავების დრო. ვფიქრობ, 2000 წლისათვის გუნდში ჩვენი მომდევნო თაობის (იგი შვილიშვილებს გულისხმობს) 8 წარმომადგენელი მაინც გამოვა.

ყოფაქცევისთვის — ორიანი

ინგლისის თასის ფინალური მატჩი მიმდინარეობდა მოსწავლე კალათბურთელთა შორის. მონაწილეები დისციპლინით და თავშეკავებით გამოირჩეოდნენ, მაყურებლებმა კი ჩხუბი და აყალმაყალი ატეხეს. მონაწილეების მოთხოვნით პოლიციამ მინდორზე შეჭრილი მაყურებლები დააკავა. როგორც გამოირკვა, ისინი... მოთამაშეთა მშობლები იყვნენ.

ოცნების განხორციელება

ბრიტანული „პოპ-მუსიკის“ ერთ-ერთი „მეფე“, განთქმული საესტრადო მომღერალი როდ სტიუარტი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ფეხბურთის სხვადასხვა კლუბში თამაშობდა, მაგრამ ამ სარბიელზე რაიმე თვალსაჩინო წარმატებას ვერ მიაღწია.

— მთელს ჩემს შემოსავალს და მომღერლის სახელს დავთმობდი შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებში თუნდაც ერთხელ გამოსვლისთვის, — განაცხადა მან.

ახლა, როდესაც როდ სტიუარტი, ცოტა არ იყოს, ხანში შევიდა და კონცერტებზე იმდენი მსმენელი არა ჰყავს, მისი სპორტული ოცნება მოულოდნელად განხორციელდა: იგი მიწვეულ იქნა შოტლანდიის ვეტერანთა ნაკრებში, რომელიც ინგლისელ ვეტერანებთან შესახვედრად ემზადება.

მყვირალების „მეფეები“

კანადის ჰოკეის მსაჯთა ასოციაციამ შეადგინა იმ 10 მოთამაშის სია, რომლებიც ყველაზე მეტს ყვირიან თამაშის დროს. ამ სიის სათავეში არიან ცნობილი მოთამაშეები ფილ ესპოზიტო („ნიუ-იორკ რეინჯერსი“) და ბობი კლარკი („ფილადელფია ფლაიერსი“). ამასთან, იმასაც აღნიშნავენ, რომ თუ ესპოზიტო ძირითადად მსაჯებსა და მეტოქეებს უყვირის, კლარკი თანაგუნდელებს არ ინდობს. როდესაც იგი მეტოქის მიერ წაქცეულ ამხანაგთან მიდის, ასე მიმართავს:

— შენ რა, ფიქრობ მაყურებლები იმიტომ იხდიან 15 დოლარს, შენს კოტრიალს უყურონ?! წამოხტი ახლავე და წააქციე შენი გამგორებელი!

ნაჩევი

რას კაპიტნად აირჩიეს...

ინგლისის პირველი ლიგის კლუბ „ბრისტოლ სიტის“ ფეხბურთელები მკვეთრად აღუდგნენ წინ ამ კოლექტივის მესვეურების გადაწყვეტილებას ამავე სახელწოდების ქალთა გუნდის ჩამოყალიბების შესახებ.

„გვეყო ამდენი მოთმინება!“ — განაცხადა ნახევარმცველმა პიტერ კორმაკმა, როცა შეიტყო, რომ მისი ცოლი მარიონი ქალთა გუნდის კაპიტნად აირჩიეს. მან მყისვე შეიტანა განცხადება განქორწინების თაობაზე.

დღეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე

12 საათიდან დაიწყება გამარჯვების 35 წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმი დევიზით — „მშვიდობა და ბედნიერება მსოფლიოს ხალხებს“.

სტადიონზე შეკრებილნი მხატვრულ პროგრამასთან ერთად იხილავენ სამხედრო-პატრიოტულ თამაშობებს, სამამულო ომის მსვლელობისა და მისი დამთავრებით გამოწვეული საყოველთაო სიხარულის ეპიზოდებს, მესაზღვრეების და სხვა ნაწილების საბრძოლო მოქმედების ამსახველ მომენტებს; გაიმართება პარაშუტისტთა საჩვენებელი ხტომები, მოტოციკლისტთა და სხვათა შეჯიბრებები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ჭადრაკი. შაში. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37) **9 მაისი.** ერთდროული თამაშის სეანსები ჭადრაკში — 500, შაშში — 200 დაფაზე. დასაწყისი 14 ს.

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. **9 მაისი.** „სპარტაკის“ ბაზა ოქროყანაში. „სპარტაკი“ (თბილისი) — „ხალხინო“ (გეგეჭკორი). დასაწყისი 14 ს. **10 მაისი.** დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „იმერეთი“ (წულუკიძე). 11 ს.

ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. უფროსი ასაკი. **11 მაისი.** „სინათლის“ სტადიონი. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „განთიადი“ (ქუთაისი). 12 ს. „შრომითი რეზერვები“ (თბილისი) — „ავაზა“ (თბილისი). 14 ს. უმცროსი ასაკი. ლენინის სახ. სტადიონი. განათლება (თბილისი) — 134-ე ექსპერიმენტული სკოლა (თბილისი). 17 ს. „ავაზას“ სტადიონი. „ავაზა“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი). 17 ს.

ქართული ჭიდაობა. „ლოკომოტივის“ დარბაზი. დღეს. საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 11 ს.

„ლელოს“ მორიგი ნომერი გამოვა კვირას, 11 მაისს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; ჯამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 10134